# შ.პ.ს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

2 0 5 0 0 5 5 2 7

ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი     ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

17 ნოემბერი 2022 წელი

## შინაარსი


| | |
|---|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3 |
| საქმიანობის შედგები | 4 |
| ფულადი ნაკადების მოძრაობა | 5 |
| ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები | 6---14 |

შ.პ.ს "თბილისის ოკოლოგიური დისპანსერი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| აქტივები | შენიშვნა | 12/31/2021 | 12/31/2020 | 12/31/2019 |
|---|---|---|---|---|
| ფული და ფულის ექვივალენტები | | 88621.00 | 67412.00 | 92123.00 |
| სავაჭრო მოთხოვნები | | 857424.00 | 853556.00 | 1046805.00 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული | | | | |
| მარაგები | | 238684.00 | 169525.00 | 172705.00 |
| მზა პროდუქცია | | | | |
| სხვა | | | | |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | | 694295.00 | 59000.00 | 54801.00 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | | 1879024.00 | 1149493.00 | 1366434.00 |
| თვითღირებულების მოდელით | | | | |
| გადაფასების მოდელით | | | | |
| გუდვილი | | | | |
| სხვა არამატერიალური აქტივი | | 9765.00 | 12875.00 | 12676.00 |
| ძირითადი საშუალებები | | 1117846.00 | 1179830.00 | 1226670.00 |
| ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში | | | | |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ | | | | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | | 800000.00 | 800000.00 | 800000.00 |
| სულ აქტივები | | 3806635.00 | 3142198.00 | 3405780.00 |
| ვალდებულებები | | | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | | | |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | | | | |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | | | |
| საგადასახადო ვალდებულებები | | | | |
| გამოუმუშავებული შემოსავალი | | | | |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | | | | |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | | | | |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | | 2342860.00 | 2643360.00 | 2546130.00 |
| მიღებული გრანტები | | | | |
| სხვა ვალდებულებები | | 1462305.00 | 1321433.00 | 1326686.00 |
| **სულ ვალდებულებები** | | 3805165.00 | 3964793.00 | 3872816.00 |
| საქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი") | | 1470.00 | 1470.00 | 1470.00 |
| საემისიო შემოსავალი | | | | |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | | | |
| გაუნაწილებელი მოგება/ზარალი | | 0.00 | -824065.00 | -468506.00 |
| გადაფასების რეზერვი | | | | |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | | | | |
| საკუთარი კაპიტალი | | 1470.00 | -822595.00 | -467036.00 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები | | 3806635.00 | 3142198.00 | 3405780.00 |

GEORGIA. TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205005527

შ.პ.ს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**საქმიანობის შედეგები 2020 - 2021**

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 5164612.00 | 4524576.00 |
| საქონლის გაყიდვიდან | | |
| მომსახურების გაწევიდან | 5164612.00 | 4524576.00 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | |
| სხვა | | |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | -1434486.00 | -1215689.00 |
| საწყისი მარაგები | | |
| მარაგების შესყიდვა | | |
| გადამუშავების დანახარჯები | | |
| საბოლოო მარაგები | | |
| საერთო მოგება | 3730126.00 | 3308887.00 |
| სხვა შემოსავალი | | |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -2942513.00 | -2555403.00 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | -94556.00 | -63801.00 |
| საპროცენტო შემოსავალი: | | |
| საპროცენტო ხარჯი : | -155287.00 | -138246.00 |
| იჯარის ხარჯი | | |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -345772.00 | -235885.00 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -3538128.00 | -2993335.00 |
| საოპერაციო მოგება | 191998.00 | 315552.00 |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება: | | |
| ფინანსური აქტივები | | |
| მარაგები | | |
| სხვა არაფინანსური აქტივები | 631284.00 | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: | -687.00 | -292335.00 |
| მიღებული დივიდენდები | | |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი | 822595.00 | 23217.00 |
| მოგების გადასახადი | | |
| მოგება/(ზარალი) | 822595.00 | 23217.00 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი): | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) | | |
| სხვა | | |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | | |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) | 822595.00 | 23217.00 |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | -822595.00 | -467036.00 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) | | |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0.00 | -378776.00 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 0.00 | -822595.00 |

საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
GEORGIA, TBILISI ... DISPENSARY LTD
205005527

შ.პ.ს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 4710620 | 4438686 |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | -179423 | -23204 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | -4509988 | -4440193 |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 21209 | -24711 |
| სავალუტო კურსის ეფექტი | | |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში | 67412 | 92123 |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს | 88621 | 67412 |

დირექტორი ზურაბ რაინაული

GEORGIA. TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205005527

# განმარტებითი შენიშვნები

## 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შ.პ.ს "თბილისის ონკოლგოიური დისპანსერი" (ს/კ 205 005 527 ) (შემდგომში "კომპანია") არის 2003 წლის 1 მაისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება .

კომპანიის იურიდიული მისამართი და ფაქტობრივი მისამართია : საქართველო , თბილისი , დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი , ლუბლიანას ქ. #5 , სართული 4, 5

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მრავაპროფილური სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა .
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან :

| *მესაკუთრე* | | *წილი* |
|---|---|---|
| 01008006614 , | გიორგი გაბუნია | 46.152% |
| 01024017099 , | ირაკლი სიხარულიძე | 23.082% |
| 20001001262 , | ზურაბი რაინაული | 15.382% |
| 01009003836 , | მალხაზ კაკულია | 7.692% |
| 01008008898 , | ზაზა დარჩია | 7.692% |
| *სულ* | | 100.00% |

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის დირექტორი არის ზურაბ რაინაული პირადი # 20001001262 .

## 2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის . ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ( IASB ) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საეღთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად . მსს ფასს სტანდარტზე გადასვლამდე , ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამიდსად , კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება . კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა ემყარებოდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას .

დირექტორი ზურაბ რაინაული

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი . აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ , თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული .

ფინანსური ანგარიშგება მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული შეფასებების გამოყენებას და მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსურიანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, აგრეთვე საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს .

### სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუსაო ვალუტა არის ქართული ლარი . ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყოველგვარი ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ერთეულამდე .

### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისათვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად . საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში .
უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები - საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი :

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| 2020 წლის 31 დეკემბრისათვის | 3.2766 | 4.0233 |
| 2021 წლის 31 დეკემბრისათვის | 3.0976 | 3.5040 |

### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

დირექტორი ზურაბ რაინაული

**ფინანსური ინსტრუმენტები**

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება, როდესაც კომპანია ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებების მხარე ხდება. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება გარიგების ფასით .

კომპანიის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.

ფინანსური ვალდებულებები (ნასესხევი თანხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები) შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

**ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

**სავაჭრო მოთხოვნები**

რეალიზაცია (მომსახურების გაწევა) , ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება საჭირო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს , არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

**მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები კომპანიაში წარმოდგენილია ნედლეულისა, მედიკამენტების და სახარჯი მასალების სახით და განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის ან მომსახურეობის გასაწევად.
და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიამ უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადატვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდათმობა და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

კომპანია მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

დირექტორი ზურაბ რაინაული

GEORGIA, TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205005527

## ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებად აღრიცხავს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც
ა ) იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის/მომსახურების წარმოებაში, საქონლის/მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
ბ ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალების ღირებულებას აქტივად აღიარებს მხოლოდ იმ შემდხვევაში, თუ
ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალშიამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
ბ) კომპანიისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს :

ა) ძირითადი საშუალების ნასყიდობის ფასს, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.
ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ჯგუფები მიხედვით შეადგენს:

| | |
|---|---|
| * შენობა-ნაგებობები | 20-50 წელი |
| * ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5-10 წელი |
| * მანქანა- დანადგარები | 5-10 წელი |
| * სატრანსპორტო საშუალებებ | 5-10 წელი |
| * ძალოვანი დანადგარები | 5-10 წელი |

ცვეთა არ ერიცხება მიწას.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს ხომ არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდში ამა თუ იმ ძირითადი საშუალებების ან/და ძირითადი საშუალებების ჯგუფის გაუფასურება, ასეთის (გაუფასურების ) არსებობის შემთვევაში კომპანია აღიარებს და აფასებს გაუფასურების ზარალს.
ძირითადი საშუალების აღიარებას კომპანია წყვეტს ძირითადი საშუალების გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან , როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობას ან ზარალს კომპანია ასახავს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი (ძირითადი საშუალების) აღიარება შეწყდა.

შპს ქ.თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი GEORGIA TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD 206005521

**არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა). არამატერიალური აქტივის ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება.

**სავაჭრო ვალდებულებები**

წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

**საბანკო სესხები და ოვერდრაფტები**

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კვალიფიცირდება , როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდგომი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

დირექტორი ზურაბ რაინაული

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის 13 მაისს შეტანილი იქნა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი,რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა: კომერციული ბანკები, ლომბარდები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. "ესტონური", მოდელი). ახალი მოდელით განისაზღვრა კომპანიის მოგების გადასახადის აღიარებისა და განსაზღვრის პრინციპები. ეს ცვლილებები შეეხო კომპანიის მიერ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს. კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით. დივიდენდების გადახდის შემთხვევაში გამოიყენება 15%-იანი მოგების გადასახადი. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, როდესაც ხდება დივიდენდების გაცემა (მიუხედავად იმისა, თუ რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემა ხდება). მოგების გადასახადი გადახდილ უნდა იქნეს დივიდენდის ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემის მომენტში , იმისდა მიუხედავად, ეს განაცემი ფულადი თუ არაფულადი სახით არის შესრულებული.
აღნიშნული საგადასახადო ცვლილების მიხედვით, დივიდენდების განაწილებასთან ერთად, მოგების გადასახადით ასევე იბეგრება (მოგების განაწილებად ითვლება) ისეთი ხარჯების გაწევა, რაც ეკონომიკურ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული (ხარჯი რომელიც არ განიხილება ეკონომიკურ წარმომადგენლობითი საქმიანობასთან დაკავშირებულად; მომსახურების ან აქტივების უსასყიდლო მიწოდება; ხარჯი, რომელიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობას). ისეთი გადასახადები, სხვა გადასახადების მსგავსად, რომლებიც უკან დაბრუნებას (ჩათვლას) აღარ ექვემდებარება, კომპანიის მიერ აისახება "სხვა არასაოპერაციო ხარჯებში" და არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს - "მოგების გადასახადი". წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

### საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს , რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

დირექტორი ზურაბ რაინაული

GEORGIA, TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205006527

შ.პ.ს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## ხარჯები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| საიჯარო ქირა | | |
| რეკლამის ხარჯები | | 4517.00 |
| რემონტის ხარჯი | | |
| მივლინების ხარჯები | | |
| ქონების გადასახადი | | |
| დაზღვევის ხარჯები | | 312.00 |
| ავტომანქანის ხარჯი | | |
| კომუნალური ხარჯები | 78387.00 | 62071.00 |
| სამეურნეო ხარჯი | 28526.00 | 23304.00 |
| სამედიცინო მომსახურება | | |
| ბანკის მომსახურება | | |
| კომუნიკაციის ხარჯები | | |
| საწვავის ხარჯი | | |
| საქველმოქმედო ხარჯები | | |
| წარმომადგენლობითი ხარჯები | | |
| საკანცელარიო და კომპიუტერის ხარჯები | 7083.00 | 7387.00 |
| სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები | 231776.00 | 138294.00 |
| სულ | 345772.00 | 235885.00 |

## ფული და ფულის ექვივალენტები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 11304 | 11430 |
| ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში | 77317 | 55982 |
| სულ ფული და ფულის ექვივალენტები | 88621 | 67412 |

## მარაგები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ნედლეული და მასალები | 184973 | 125032 |
| სხვა მარაგი | 41663 | 36283 |
| საქონელი | 12048 | 8210 |
| **სულ მარაგები** | **238684** | **169525** |

დირექტორი ზურაბ რაინაული

საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
GEORGIA TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
205005527

შ.პ.ს "თბილისის ოკოლოგიური დისპანსერი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 857424 | 853556 |
| გადახდილი ავანსები | | |
| სხვა მოთხოვნები | | |
| **სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები** | 857424 | 853556 |

## მიღებული სესხები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| მოკლევადიანი სესხები რეზიდენტი ბანკებიდან | | |
| გრძელვადიანი სესხები რეზიდენტი ბანკებისგან | 2342860 | 2643360 |
| **სულ სესხები** | 2342860 | 2643360 |

## სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ | 1051155.00 | 900773 |
| გადასახდელი ხელფასები | 411150 | 420660 |
| მიღებული ავანსები | | |
| სხვა | | |
| **სულ სავაჭრო და სხვა შემოსავლები** | 1462305 | 1321433 |

## შემოსავალი

| | 2021 | 2020 |
|---|---|---|
| შემოსავალი მიწოდებიდან და რეალიზაციიდან | 5164611 | 4524576 |
| იჯარა და სხვა შემოსავლები | | |
| **სულ შემოსავლები** | 5164611 | 4524576 |

დირექტორი ზურაბ რაინაული

GEORGIA TBILISI ONCOLOGY DISPENSARY LTD
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205005527

**შ.პ.ს "თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი"**

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## ძირითადი საშუალებები

| | მიწა | შენობა-ნაგებობები | მანქანა-დანადგარები, ავეჯი და სხვა ინვენტარი | სულ |
|---|---|---|---|---|
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2020** | 169333 | 755377 | 255120 | 1179830 |
| შემოსვლა | | | 29461 | 29461 |
| გასვლა | 0 | | 0 | 0 |
| პერიოდის ცვეთა | | 37769 | 56786 | 94555 |
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2021** | 169333 | 717608 | 227795 | 1114736 |

**არამატერიალური აქტივები**

| | |
|---|---|
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2020** | 12875 |
| შემოსვლა | 0 |
| გასვლა | 0 |
| პერიოდის ცვეთა | 0 |
| **საბალანსო ღირებულება 31.12.2021** | 12875 |

დირექტორი ზურაბ რაინაული

GEORGIA TBILISI ONCOLOGY DISPENSARY
საქართველო
შპს
ქ.თბილისის
ონკოლოგიური
დისპანსერი
205005527